ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4852317

ნომერი: AR1732431

თარიღი : 04.02.2020

გაცემის თარიღი : 07.02.2020

გაცნობის თარიღი : 07.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ჯახუტაშვილი პ/ნ 61001013225
- ქ. თბილისი, მარაბდის ქუჩა 28

ორგანიზაცია:

- შპს "სითი რეალ ისთეითი" კოდი: 406067410

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 04 იანვარს №AR1732431 განცხადებით მომართა თამაზ ჯახუტაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პეკინის გამზირი №30-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.14.030.020), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა, (სასტუმრო, საცხოვრებელი, კომერციული და სხვა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 თებერვლიდან 2021 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებით შეთანხმებულ მე-9 სართულის გეგმაზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ფართობების მითითებასთან დაკავშირებით და შესაბამისად ითხოვს მე-9 სართულის გეგმის ჩანაცვლებას 2020 წლის 04 იანვარს №AR1732431 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მე-9 სართულის გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად იყო დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მე-9 სართულის გეგმა ჩანაცვლდეს 2020 წლის 04 იანვრის №AR1732431 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 თებერვლის №4841017 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.